

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების და
სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიების ერთობლივი
სხდომის
ოქმი №9

2019 წლის 4 სექტემბერი, 14:00 საათი

ქ. ლაგოდეხი

სხდომის თავმჯდომარე: ვლადიმერ ალიბეგაშვილი - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე;
სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის);
საკრებულოს თავმჯდომარე-კარლო ჯამბურია;
მერის პირველი მოადგილე-ზურაბ ჯაფარიძე;
ლაგოდეხი-ყვარლის მაჟორიტარი დეპუტატის ბიურის წარმომადგენელი- ავთანდილ გოგოლაძე;
შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ კახეთის რეგიონული ფილიალის ლაგოდეხის სერვის-ცენტრის ტექნიკური განყოფილების უფროსი -ზურაბ აფაქიძე;
ს/ს საქართველოს მელიორაციის ლაგოდეხის სამსახურის წარმომადგენლები: მამუკა ლომჯანიძე, ივანე წიქარიშვილი;
მერის წარმომადგენლები ქ. ლაგოდეხის, შრომის და ცოდნისკარის ადმინისტრაციულ ერთეულებში.
ა/ო „სამოქალაქო განვითარების ასოციაციის“ წარმომადგენლები: ალექსანდრე ჭანკოტაძე, გიორგი ბოკერია.
რადიო „ჰერეთის“ კორესპონდენტი-დავით ჭაბაშვილი;
მოქალაქეები.

-1-

მოისმინეს:

ქ.ლაგოდეხის, სოფელ რაჭისუბნის, სოფელ შრომის, სოფელ კავშირის, სოფელ დავითიანის და სოფელ გელათის წყალმომარაგების სისტემაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

/მომხს: კ. ჯამბურია/

ლაგოდეხის მოსახლეობის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, დაგეგმილ შეხვედრაზე, იმსჯელეს წყალმომარაგების სისტემაში არსებულ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე:


1. სასმელი წყლის ხრისხის საერთაშორისო სტანდარტებამდე დაყვანა, სანიტარული ზომების დაცვა და უწყვეტი წყალმომარაგება:
 - სასმელი წყლის პოლიეთილენის მილების ხარისხის სერტიფიკატის მოწოდება.
 - სასმელი წყლის ხარისხის ბიოქიმიური კვლევა (ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნული ბიურო).
 - სათავე-ნაგებობებზე თხევადი ქლორის და ამიადის ფილტრის აპარატების მონტაჟი.
 - შრომის-სათავე -ნაგებობაზე პირველი ჭაბურღილის მოწესრიგება/გასუფთავება, ჭაბურღილის ტერიტორიაზე არსებული საპირფარეშოს გაუქმება.
 - შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასა“ და აბონენტს შორის ხელშეკრულების დადება.

- ქალაქში არსებულ სასაფლაოს ტერიტორიაზე და სახელობით წყაროებზე სასმელი წყლის აღრიცხვის გარეშე მოხმარება.
 - შრომის სათავედან სასმელი წყლის მოწოდება დამოკიდებულია ელექტრო-ენერგიაზე.
 - ახალი მაგისტრალის დათვალიერება და დაზიანებული სისტემის აღდგენა.
 - ახალი მაგისტრალის რუკა გადაეცეს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ადგილობრივ სერვის ცენტრს.
2. სარწყავი სისტემის მოწესრიგება:
- სანიაღვრე არხებში წყლის დებეტის უკმარისობა.
 - ქალაქში სანიაღვრე არხების აღდგენა.
 - ქალაქში არსებული დიდი სანიაღვრე არხის სარეაბილირაციო სამუშაოების დასრულება.
 - შრომა-კავშირში დიდი სანიაღვრე არხის კეთილმოწყობა.
3. სასმელი წყლის ტარიფი:
- სამელი წყლის ტარიფის განსაზღვრა სულადობით
 - სეზონური ტარიფის დაწესება
 - მრიცხველებზე დარიცხული თანხის ჩამოწერა
 - ტარიფის ფასწარმოქმნა (პერსონალი ხეფასი, ლოჯისტიკა, მიწოდების ხარჯი)
4. მოქალაქეთა ინფორმირება:
- მიეწოდოთ აბონენტებს ინფორმაცია შიდა ქსელის მოწესრიგების თაობაზე (ონკანების და საკანალიზაციო სისტემები) და მიეცეთ გონივრული ვადა დაზიანების აღმოსაფხვრელად.
 - შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ -მ უზრუნველყოს მომხმარებელთა მუდმივი მომსახურება / ინფორმირება სასმელი წყლის ტარიფის, მრიცხველის გადალუქვისა და აღრიცხვის შესახებ, მუდმივმოქმედი 24 საათიანი სატელეფონო ცხელი ხაზით მომსახურება, მათ შორის საინფორმაციო კამპანია (ბულლეტენი, კლიპები)
 - აბონენტთა ბაზის შექმნა/განახლება (სატელეფონო ბაზა)

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით(მომხრე -16 ,წინააღმდეგი-0),
გადაწყვიტეს:

სხდომაზე წარმოდგენილი წინადადებების, შენიშვნების და მოსაზრებების გათვალისწინებით, მომზადდეს სარეკომენდაციო ხასიათის წერილი და გაეგზავნოს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას, მუნიციპალიტეტის მერიას, ს/ს საქართველოს მელიორაციას და საქართველოს ეროვნულ მარეგულირებელ კომისიას.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების,
 ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების
 კომისიის თავმჯდომარე

3. 

ვლადიმერ ალიბეგაშვილი